ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი **21.03.2023 წელი**
12:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **გიორგი ხელაძე.**

კომისიის წევრები: მაკა მშვიდობაძე, კარლო წილოსანი, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ია მოქია.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა დეპუტატი: კახაბერ ასკურავა.

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის" დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე, ეკა გუჯაბიძე/

2. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის-ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

5. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი -0

დღის წესრიგის პირველი საკითხი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის“ დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ეკა გუჯაბიძემ. მან აღნიშნა, რომ შპს „ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე–16 მუხლის საფუძველზე შექმნილი დაწესებულება. ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საანგარიშო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, სხვა რეკვიზიტები. ცენტრის იურიდიული მისამართია : ქ. ლანჩხუთი, ნინოშვილის ქ. N37.

ცენტრის მიზნები და ამოცანებია:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებული ადამიანების მხარდამჭერი პროექტებისა და პროგრამების მომზადება/განხორციელება, მათი ინფორმირება აღნიშნულ სფეროში არსებული სიახლეებისა და სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ეკონომიკური პროექტების შესახებ;

გ) მუნიციპალური პროექტების მომზადება კერძო/სახელმწიფო ინვესტიციების მოზიდვის მიზნით;

დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების აღრიცხვა/რეკლამირება;

ე) ახალი ტურისტული მარშუტების შემუშავება-დაგეგმვა და მარკირება;

ვ) ტურისტულ ოპერატორებთან, კომპანიებთან ერთად ინფო-ტურების ორგანიზება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების პოპულარიზაციის მიზნით;

ზ) ტურისტული ფესტივალების, ბაზრობების, მოგზაურობების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურული ღონისძიებების ჩატარება;

თ) სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების განვითარებისათვის ხელშემწყობი აგროტურისტული აქტივობების დანერგვა;

ი) მოზარდებისათვის სასოფლო ტურების მოწყობა;

კ) მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეკლამირება და სარეალიზაციო ბაზრის მოძიებაში ხელშეწყობა;
ლ) სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, მოსახლეობის ტექნიკური და ინფორმაციული მხარდაჭერა;
მ) კანონით ნებადართული ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის გათვალისწინებული წესდებით, მაგრამ არ ეწინააღმდეგება დაწესებულების მიზნებს. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მერის მოადგილემ, ეკა გუჯაბიძემ ასევე აღნიშნა, რომ ცენტრის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი. მერი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრის შექმნისა და გაუქმების შესახებ. წესდებას ამტკიცებს და მასში ცვლილებები შეაქვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს. ცენტრის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს მუნიციპალიტეტის მერი, რომელიც:
ა) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის დირექტორს;
ბ) ცენტრის დირექტორს აძლევს თანხმობას წარმოდგენილ სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცებაზე;
2. ცენტრის დირექტორი:
ა) წარმართავს ცენტრის ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამეურნეო, ადმინისტრაციულ საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობაზე;
ბ) ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს;
გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის სტრუქტურას და საშტატო განრიგს;
დ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;
ე) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ცენტრის სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა ცენტრის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებულ ქონებაზე;
ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს თანამშრომლებსა და დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;
ზ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
თ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტებს;
ი) შეიმუშავებს და ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს.
ასევე, ცენტრის დირექტორი ანგარიშვალდებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე. ცენტრის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის ერთ–ერთი თანამშრომელი, რომელსაც მერთან შეთანხმებით დირექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს ცენტრის დირექტორი. ცენტრის თანამშრომელთა უფლება–მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

ეკა გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ ცენტრის კაპიტალი განისაზღვრება მერის ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს მუნიციპალური ქონება გადაეცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით. ცენტრის ქონების ფორმირების წყაროები შეიძლება იყოს:
ა) დამფუძნებლის მიერ სარგებლობაში გადაცემული ქონება;
ბ) საკუთარი სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონება;
გ) კანონით დადგენილი წესითა და ფორმით ცენტრისათვის გადაცემული ქონება;

ცენტრის დაფინანსების წყაროა:
ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული სხვა შემოსავალი.
ცენტრი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო– ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა–ანგარიშგება და შეადგინოს ბალანსი.
ცენტრს შეუძლია მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:
ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება;
ბ) სესხის აღება;
გ) თავდებობა;
დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

ცენტრის საქმიანობის კანონიერებას, მიზანშეწონილობას და საფინანსო–ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს მუნიციპალიტეტის მერი უშუალოდ, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული სამსახურების მეშვეობით. ცენტრის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერი. წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დეპუტატმა კარლო წილოსანმა გამოხატა დაინტერესება, თუ როდიდან დაიწყებდა ,,შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი" ფუნქციონირებას, რაზეც ეკა გუჯაბიძემ განმარტა, რომ საკრებულოს თახმობის შემდგომ, მოხდება მისი რეგისტრაცია და დაახლოებით 1 აპრილიდან ,,შპს" ფუნქციონირებას დაიწყებს.

დეპუტატ დარეჯან ბურჭულაძის აზრით, ეს იქნება მოგებაზე ორიენტირებული სამსახური, რომელიც გაზრდის მუნიციპალიტეტის შემოსავლით ნაწილს.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ გამოხატა დაინტერესება თუ რამდენი ადამიანის დასაქმება არის გათვალისწინებული აღნიშნულ შპს-ში, ასევე რამდენი ლარით განისაზღვრება მათი საშუალო ხელფასი და იქნება თუ არა ახალი სახეები წარმოდგენილი, რაზეც ეკა გუჯაბიძემ განმარტა, გამომდინარე იქედან, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს სტრუქტურა, სავარაუდოდ ,,შპს"-ში იგეგმება 15 ადამიანის დასაქმება, რომელთა შორის ახალი სახეებიც იქნება წარმოდგენილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი-0

დღის წესრიგის მეორე საკითხი-„ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში ჩატარდა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის

მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომა. კომისიამ იმსჯელა და გასცა თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციულო ერთეულის - სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებულ ქუჩას ეწოდოს თამაზ გოგიჩაიშვილის სახელი.
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი –0

დღის წესრიგის მესამე საკითხზე --„ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ სამთავრობო კომისიიდან ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა საბოლოო დასკვნის მიღება (კომისიის მდივნის ავადმყოფობის გამო). თუ მიმდინარე თვის 22 მარტამდე საკითხი საბოლოოდ არ იქნება გარკვეული, მაშინ იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სახელით აღნიშნული საკითხის განხილვა მოხსნილი იქნება მიმდინარე წლის 23 მარტის საკრებულოს სხდომიდან.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი-,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის-ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში ჩატარდა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომა. კომისიამ იმსჯელა და გასცა თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში - საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის „ჩიბათელი მხედრების“ სახელის მინიჭების თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებულ სკვერს ეწოდოს ,,ჩიბათელი მხედრების“ სახელი.
განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი – 0

სხვადასხვა.

დეპუტატმა ია მოქიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის სახელზე სოფ. გრიგოლეთის მოსახლეობის მიერ შემოსული იქნა ინიციატივა, ამავე სოფლის ცენტრალური ქუჩისთვის წმინდა გრიგოლის სახელის მინიჭების თაობაზე. მისი თქმით, სასურველია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის ჩართულობა, რათა მოსახლეობის ინიციატივა დროულად და დადებითად იქნას გადაწყვეტილი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ხელაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის დასკვნა №3

ქ. ლანჩხუთი **21. 03. 2023 წელი**
12:00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 მარტს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის" დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე, ეკა გუჯაბიძე/

2. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

4. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის-ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,შპს ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრის" დაფუძნებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -6
წინააღმდეგი –0

დღის წესრიგის მეორე საკითხი-„ლანჩხუთს მუნიციპალიტეტის ლესის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭინათში არსებული ქუჩისთვის თამაზ გოგიჩაიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -6
წინააღმდეგი –0

დღის წესრიგის მესამე საკითხზე-„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ 22 მარტამდე საბოლოოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხის მიმდინარე წლის 23 მარტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზანშეწონილობის თაობაზე, რასაც კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირა.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი-,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის-ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -6
წინააღმდეგი – 0

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ხელაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.03.2023 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11 55	
2	ია მოქია	11 55	
3	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
4	მაკა მშვიდობაძე	11:55 წთ.	
5	კარლო წილოსანი	11:58	
6	ნინო მშვიდობაძე	11:55	
7	დარეჯან ბურჭულაძე	11:55	